ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №1

17.11.2017 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ირაკლი ნადირაძე, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **გიორგი ახვლედიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **მარიკა დარჩია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **რამინა ბერაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **თემურ გორგაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **ლევან ხაბეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. **დავით ჟღენტი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. **გიორგი ბირბიჩაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. **ვლადიმერ ძნელაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. **ნინო ლაცაბიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. **გიორგი მუსხელიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. **ქეთევან ჯოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. **ფრიდონ ინჯია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. **ავთანდილ ცინცაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
21. **ქეთევან მამულაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

22. **გიორგი ჩაკვეტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
23. **ანა ლაშხი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
24. **გულია გოცირიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
25. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
26. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
27. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
28. **გიორგი გაბაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
29. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
30. **ილია ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
31. **დავით რურუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
32. **თინათინ ნიბლოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
33. **ავთანდილ ცინცაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
34. **მიხეილ ამაშუკელი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
35. **მარინა დათუკიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
36. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
37. **შალვა ოგბაიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
38. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
39. **ლევან დარახველიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
40. **გოჩა თევდორაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ირაკლი ხმალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ (ვიცე-მერი) წარდგენილი კანდიდატი;
2. **მაია ბითაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი;
3. **ირაკლი ბენდელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი;
4. **გიგა ნიკოლეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი;
5. **ვლადიმერ ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
6. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
7. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
8. **გიორგი ბაგრატიონი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
9. **სოფიო ხუნწარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;

10. **გივი კუბლაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
11. **მამუკა მუმლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
12. **გელა ჩივიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
13. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
14. **გიორგი პაპავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
15. **ანდრია ბასილაია** - ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
16. **ნიკოლოზ ჭონქაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
17. **ირაკლი გვილავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
18. **გაიოზ ვასაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
19. **დავით კირკიტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
20. **ლევან ჯაფარიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
21. **ნოდარ ტურძელაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
22. **ირმა ზავრადაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
23. **ზურაბ ჩიკვილაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
24. **ბექა მიქაუტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
25. **ირაკლი ხელაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
26. **კახაბერ ლაბუჩიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
27. **დავით კერესელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
28. მასობრივი მედიის წარმომადგენლები.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და კომისიის წევრმა ბ-ნმა გ. ტყემალაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30, პუნქტი) კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში. აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე და ორი კომისიის წევრი კოორდინირებას გაუწევს სხდომის მიმდინარეობას.

ბ-ნი გ. ტყემალაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრთა თანამდებობებზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 15 ნოემბრის №12-031731944-03 წერილი) - ინფორმაცია ოქმს ერთვის

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერ. კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრთა თანამდებობებზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 15 ნოემბრის №12-031731944-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. ტყემალაძემ.

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ (ვიცე-მერი) წარდგენილი კანდიდატი ბ-ნი ირაკლი ხმალაძე, რომელმაც ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი მთავრობის შემადგენლობის ძირითადი ხედვების, სამუშაო გეგმებისა და პროგრამების შესახებ. გამომსვლელმა (ირ. ხმალაძე) ყურადღება გაამახვილა შემდეგ შვიდ ძირითად მიმართულებაზე:

1) ურბანული დაგეგმარების პოლიტიკა, რომლის ძირითადი მიმართულება იქნება: დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმა, სამშენებლო ნორმები და სტანდარტები,

ასევე, კულტურული მეკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია და დაცვა, ვიზუალური სტანდარტის შემოღება და დაცვა.

2) სატრანსპორტო პოლიტიკა, რომლის ძირითადი მიმართულება იქნება: საგზაო გეგმარება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლების პროგრამა, სამარშრუტო ტაქსების განახლება და მარშრუტების დამატება; მეტროს რეაბილიტაციის პროგრამა, მათ შორის, მეტროს საკომუნიკაციო სისტემის მოწესრიგება და შემადგენლობის გაზრდა; პარკირების მოწყობა-მოწესრიგება.

3) გარემოს დაცვის პოლიტიკა, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ურბანული დაგეგმარების პოლიტიკასთან.

4) სოციალური პოლიტიკა.

5) ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა.

6) განათლება, სპორტი და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება.

7) მართვის პოლიტიკა, მათ შორის, მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა.

ბ-ნი **ირაკლი ხმალაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.**

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ირ. ნადირაძემ (კომისიის წევრი):

1) ვიცე-მერის (ირ. ხმალაძის) სამუშაო გამოცდილებისა და ენერგეტიკის სფეროში მისი მოღვაწეობის შეფასების შესახებ;
2) შპს „სი-ტი პარკ"-თან დადებული ხელშეკრულების გადახედვის შესახებ;
3) წინა წლებში ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული პროგრამების დაფინანსების ხარჯვის მიზანმიმართულების თაობაზე;
4) თბილისის ზღვის განაშენიანების პროექტის თაობაზე;
5) ძველი, მე-20 საუკუნის 50-იან წლებში აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ე.წ. „ხრუშოვკების") პრობლემის მოგვარების მიზნით, ინვესტიციების მოზიდვის შესახებ.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა (საკრებულოს წევრი):

1) ავტობუსების პარკის განახლების თაობაზე;
2) საკადრო პოლიტიკის თაობაზე. აღნიშნული შეკითხვის დასმისას, გამომსვლელმა მაგალითად მოიყვანა ცხოველთა მონიტორინგის საშტატო ერთეულების რაოდენობა და დაფინანსება;
3) სამშენებლო ნორმების, ასევე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) თაობაზე.

ქ-ნმა რ. ბერაძემ (საკრებულოს წევრი) - მუნიციპალური შესყიდვების თაობაზე.

ქ-ნმა მ. დათუკიშვილმა (საკრებულოს წევრი):

1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილისა და მოადგილეების საკურაციო სფეროების შესახებ;
2) წარდგენილი კანდიდატების, განსაკუთრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის (გ. გიგაშვილის) სამუშაო გამოცდილების თაობაზე;
3) ჯანდაცვის პროგრამების თაობაზე.

ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა (საკრებულოს წევრი) - ჯანდაცვის პროგრამების შესახებ. შეკითხვის დასმისას, გამომსვლელმა ყურადღება გაამახვილა ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტოზური დაფინანსების საკითხზე.

ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ (კომისიის თავმჯდომარე) - 2014 წლის 27 ივნისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში შესასრულებელი გარემოსდაცვითი ვალდებულებების თაობაზე და დაინტერესდა დედაქალაქის მთავრობის ახალი გუნდის პოლიტიკით, ხედვებითა და გეგმებით, გარემოს დაცვის ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ჰაერისა და წყლის ხარისხი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და გარემოს სტრატეგიული შეფასება.

საკრებულოსა და კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კომპეტენციისა და სფეროების შესაბამისად, პასუხები გასცეს წარდგენილმა კანდიდატებმა: ირ. ხმალაძემ, გ. გიგაშვილმა, გ. თალაკვაძემ, ს. ხუნწარიამ, ნ. ჭონქაძემ, გ. ჩივიაშვილმა და მ. ბითაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დასანიშნმა კანდიდატმა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების თაობაზე.

ბ-ნი ერ. კუხიანიძის მიერ გარემოს დაცვითი მიმართულებით დასმულ შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა ქ-ნმა მ. ბითაძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ მთელ რიგ გარემოსდაცვით პროგრამებზე და აღნიშნა, რომ წარდგენილ კანდიდატებს აქვთ ერთიანი ხედვა, გეგმა და სტრატეგია, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს არსებული სიტუაცია და როგორ უნდა განხორციელდეს ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

კომისიის სხდომაზე მოსმენილი ინფორმაციის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრთა, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო

სამსახურების უფროსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარმოდგენილი 27 განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 2

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის მიერ №12-031731944-03 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრთა, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხის თაობაზე წარმოდგენილი 27 განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე